# ა ნ გ ა რ ი შ ი

# ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

## ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2024 წლის ანგარიში

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ სრულად იქნა შესრულებული 2023-2030 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმითა და სამოქმედო გეგმით 2024 წლისთვის გათვალისწინებული ამოცანები.

2024 წლის განმავლობაში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა მოიპოვა 2 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: **,,საწყობის ოპერირება“ და ,,ტვირთების ექსპედირება“** განხორციელების უფლება.

თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გათვალისწინებულ იქნა მისაღები კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა 70-70 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ამავე დროს, ,,ლოგისტიკა“ ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების გამო მილევად რეჟიმში გადავიდა ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ამ ეტაპზე ჩარიცხულები არიან პროფესიული სტუდენტები, რომელთა კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, პროგრამა გაუქმდება.

შესაბამისად, კოლეჯის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მისაღები პროფესიული სტუდენტების სრული კვოტა ამ ეტაპზე განისაზღვრა სულ - **775 პროფესიულ სტუდენტით,** მათ შორის 640 პროფესიული სტუდენტის მიღება იწარმოებს არაინტეგრირებული, ხოლო 135-ისა კი ინტეგრირებული ფორმით.

დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს, სულ მოპოვებული აქვს **17 გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება,** რომელთაგან 8 პროგრამა ხორციელდება დუალური, 5 პროგრამა კოოპერაციული და 4 პროგრამა კი ინტეგრირებული ფორმით.

**კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებია:**

**დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

1. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)
2. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)
3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
4. რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
5. სარკინიგზო გადაზიდვები (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
6. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
7. სავაგონო მეურნეობა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
8. ლოკომოტივის მართვა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)

**კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

1. მეჩარხე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)
2. შედუღება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
3. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია)

4. საწყობის ოპერირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
5. ტვირთების ექსპედირება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)

**ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:**

1. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა;
2. სარკინიგზო გადაზიდვები;
3. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება;
4. სავაგონო მეურნეობა.

**კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სრული კვოტა 2024 წლის მდგომარეობით**

| კოლეჯის არსებული კვოტა - 2024 წლის მდგომარეობით | | | |
|---|---|---|---|
| № | პროგრამის სახელწოდება | ზღვრული რაოდენობა | შენიშვნა |
| 1 | რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა | 60 | |
| 2 | რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი | 30 | |
| 3 | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა | 45 | |
| 4 | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა | 30 | ინტეგირებული |
| 5 | ლოკომოტივის მართვა | 60 | |
| 6 | რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა | 30 | |
| 7 | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება | 45 | |
| 8 | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება | 30 | ინტეგირებული |
| 9 | სავაგონო მეურნეობა | 45 | |
| 10 | სავაგონო მეურნეობა | 30 | ინტეგირებული |
| 11 | სარკინიგზო გადაზიდვები | 45 | |
| 12 | სარკინიგზო გადაზიდვები | 45 | ინტეგირებული |
| 13 | მეჩარხე | 20 | |
| 14 | შედუღება | 40 | |
| 15 | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები | 80 | |
| 16 | საწყობის ოპერირება | 70 | |
| 17 | ტვირთების ექსპედირება | 70 | |
| | **სულ ჯამი:** | **775** | |
| | არაინტეგირებული | **640** | |
| | ინტეგირებული | **135** | |

**პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 2024 წლის მდგომარეობით**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია **660 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 514 მამაკაცი და 146 ქალი.** აღნიშნული მაჩვენებელი **51 პროფესიული სტუდენტით** **აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

| № | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სქესი (კაცი/ქალი) | | პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა | 50 | 0 | 50 |
| 2. | რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი | 20 | 1 | 21 |
| 3. | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა | 38 | 7 | 45 |
| 4. | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (ინტეგრირებული) | 21 | 0 | 21 |
| 5. | რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა | 26 | 0 | 26 |
| 6. | სარკინიგზო გადაზიდვები | 41 | 11 | 52 |
| 7. | სარკინიგზო გადაზიდვები (ინტეგრირებული) | 17 | 8 | 25 |
| 8. | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება | 36 | 15 | 51 |
| 9. | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება (ინტეგრირებული) | 12 | 3 | 15 |
| 10. | სავაგონო მეურნეობა | 39 | 5 | 44 |
| 11. | სავაგონო მეურნეობა (ინტეგრირებული) | 13 | 0 | 13 |
| 12. | ლოკომოტივის მართვა | 53 | 0 | 53 |
| 13. | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა | 17 | 19 | 36 |
| 14. | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული) | 8 | 4 | 12 |
| 15. | საწყობის ოპერირება | 11 | 20 | 31 |
| 16. | ტვირთების ექსპედირება | 16 | 22 | 38 |
| 17. | მეჩარხე | 18 | 0 | 18 |
| 18. | შედუღება | 29 | 0 | 29 |
| 19. | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები | 49 | 31 | 80 |
| | | **514** | **146** | |
| | სულ ჯამი: | **660** | | |




| | ქალების რაოდენობა | კაცების რაოდენობა | სრული რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 2023 წელი | 102 | 507 | 609 |
| 2024 წელი | 146 | 514 | 660 |

2024 წლის განმავლობაში **180-მა პროფესიულმა სტუდენტმა** წარმატებით დაამთავრა არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც 65 კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტით აღემატება 2023 წლის ანალოგიური მაჩვენებელს. დღეის მდგომარეობით კოლეჯის არსებული კურსდამთავრებულთა რაოდენობა სულ შეადგენს **551 კურსდამთავრებულს.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა რაოდენობა 2024 წლის განმავლობაში**

| № | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კურსდამთავრებულთა რაოდენობა | | |
|---|---|---|---|---|
| | | რკინიგზელი | შეგირდი/ არარკინიგზელი | ჯამი |
| 1 | რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი | 16 | 1 | 17 |
| 2 | რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა | 18 | 0 | 18 |
| 3 | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა | 10 | 0 | 10 |
| 4 | ლოკომოტივის მართვა | 19 | 5 | 24 |
| 5 | რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა | 5 | 1 | 6 |
| 6 | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება | 8 | 3 | 11 |
| 7 | სავაგონო მეურნეობა | 5 | 8 | 13 |
| 8 | სარკინიგზო გადაზიდვები | 3 | 6 | 9 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები | 0 | 29 | 29 |
| 10 | ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ (ინტეგრირებული) | 2 | 0 | 2 |
| 11 | ,,სარკინიგზო გადაზიდვები“ (ინტეგრირებული) | 3 | 1 | 4 |
| 12 | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული) | 0 | 8 | 8 |
| 13 | მეჩარხე | 3 | 8 | 11 |
| 14 | შედუღება | 3 | 15 | 18 |
| | **სულ ჯამი** | **95** | **85** | **180** |

კოლეჯი USAID-ის საგრანტო პროექტში გამარჯვების მოპოვებამდე ახორციელებდა **6** მომზადება/გადამზადების მოკლევადიან პროგრამას, ხოლო USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ წარდგენილი საგრანტო პროექტის **,,რკინიგზის ინდუსტრიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება რეგიონებში პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით“** ფარგლებში, თეთრიწყაროს და სამტრედიის რეგიონების საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ **მოპოვებულ იქნა 8 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება.** ამასთანავე „სს აზერბაიჯანის რკინიგზის საქართველოს ფილიალი“ მოთხოვნიდან გამომდინარე მოხდა **2** მოკლევადიანი მომზადების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება.

2024 წლის განმავლობაში კოლეჯის **306 მსმენელმა** წარმატებით დაამთავრა შერჩეული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა და გადაეცა პროგრამის სასწავლო კურსით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატი. **აღნიშნული რაოდენობა 263 მსმენელით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს**.

საერთო ჯამში, კოლეჯი დღეისათვის ახორციელებს **16 მოკლევადიან** პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამას.

**აღნიშნული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებია:**

**პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამები:**

1. „ტექნიკური ნახაზები მხაზველი (პროფესიული მომზადება);
2. „ელექტრო შემდუღებელი“ (პროფესიული მომზადება);
3. „გეოდეზიური სამუშაოების შესრულება” (პროფესიული მომზადება);
4. „ვაგონების მსინჯველი“ (პროფესიული მომზადება);
5. „ლიანდაგის მონტიორი“ (პროფესიული მომზადება);
6. „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი“ (პროფესიული მომზადება);
7. ,,ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა“ (პროფესიული მომზადება);
8. ,,მატარებლის შემდგენელი“ (პროფესიული მომზადება).

**პროფესიული გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები:**

1. ,,არგონ-რკალური შემდუღებელი" (პროფესიული გადამზადება);
2. „ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი" (პროფესიული გადამზადება);
3. „ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი" (პროფესიული გადამზადება);
4. „დეფექტებისა და დაზიანებების ვიზუალური გამოვლენა ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტებში" (პროფესიული გადამზადება);
5. „სადგურის მორიგე" (პროფესიული გადამზადება);
6. „სადგურის დისპეტჩერი"(პროფესიული გადამზადება);
7. „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი (პროფესიული გადამზადება);
8. ,,მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე" (პროფესიული გადამზადება).

აღსაანიშნავია, რომ 2024 წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს სწავლება ხუთ მოკლევადიან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე, რომლებზეც **ჩარიცხულია 55 მსმენელი**:

1. ელექტრო შემდუღებელი;
2. არგონ-რკალური შემდუღებელი;
3. სადგურის დისპეტჩერი;
4. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი;
5. მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე.



**პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მიხედვით**
**2024 წლის განმავლობაში**
**კურსდამთავრებულთა რაოდენობა**

| № | პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის დასახელება | კურსდამთავრებულთა რაოდენობა | |
|---|---|---|---|
| | | კაცი | ქალი |
| 1 | ელექტრო შემდუღებელი | 10 | 0 |
| 2 | არგონ-რკალური შემდუღებელი | 10 | 0 |
| 3 | ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი | 30 | 0 |
| 4 | ტექნიკური ნახაზების მხაზველი | 6 | 3 |
| 5 | მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე | 13 | 1 |
| 6 | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი | 10 | 0 |
| 7 | ვაგონების მსინჯველი | 9 | 0 |
| 8 | სადგურის მორიგე | 10 | 0 |
| 9 | ლიანდაგის მონტიორი | 10 | 0 |
| 10 | რკინიგზის ელექტრომომარგების მეურნეობის ტექნიკოსი | 10 | 0 |
| 11 | ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი | 10 | 0 |
| 12 | ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი | 30 | 0 |
| 13 | გეოდეზიური სამუშაოების შესრულება | 6 | 4 |
| 14 | სადგურის დისპეტჩერი | 10 | 0 |
| 15 | მატარებლის შემდგენელი | 15 | 0 |
| 16 | ვაგონების მსინჯველი | 10 | 0 |
| 17 | ვაგონების მსინჯველი | 10 | 0 |
| 18 | რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორლი ტექნიკის სპეციალისტი | 10 | 0 |
| 19 | ტექნიკური ნახაზების მხაზველი | 4 | 6 |
| 20 | ტექნიკური ნახაზების მხაზველი | 9 | 0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 | არგონ-რკალური შემდუღებელი | 10 | 0 |
| 22 | ელექტრო შემდუღებელი | 10 | 0 |
| 23 | ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი | 30 | 0 |
| 24 | გეოდეზიური სამუშაოების შესრულება | 7 | 3 |
| | | **289** | **17** |
| | სულ ჯამი: | **306** | |

**კოლეჯმა, როგორც მოგეხსენებათ, აამუშავა 2 ჰიბრიდული რეგიონალური სასწავლო ცენტრი და მათი მომსახურე პერსონალის გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით, კოლეჯში სულ დასაქმებულია:**

- ადმინისტრაცია: 30 ერთეული;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი: 123 ერთეული;
- მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების განმახორციელებელი: 35 ერთეული;
- შტატგარეშე თანამშრომელი 5 ერთეული.

**2024 წლის განმავლობაში კოლეჯის მიერ განხორციელებული**

**სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები:**

| | |
|---|---|
| **იანვარი** | ✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების **„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრლიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“, ,,ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ და „მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“,** განხორციელების მიზნით დაფინანსების მოსაპოვებლად შესაბამისი განაცხადი გაგზავნილ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსა და სს საქართველოს რკინიგზაში;<br>✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, 2020 და 2021 წლის მიღების **18 კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტისთვის,** რომლებსაც საერთაშორისო აკრედიტაციით მიენიჭათ ,,BTEC”-ის საერთაშორისო კვალიფიკაცია და ორმაგი ხარისხი - ელექტრულ ინჟინერიაში Electrical engineering, დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) მიერ გადმოცემული იქნა საერთაშორისო კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომები და დიპლომის დანართები; |

| | |
|---|---|
| | ✓ განხორციელდა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად მომზადებული შესაბამისი ბაზების გადახედვა და რედაქტირების შეტანა;<br>✓ განხორციელდა 2024 წლის პირველ კვარტალში მისაღები პროგრამული დაფინანსების ოდენობის სისწორის განსაზღვრა და ინფორმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) დადასტურება;<br>✓ განხორციელდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასული პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის ობიექტების მოძიება, პრაქტიკის გასავლელად დაურიგდათ შესაბამისი სპეცტანსაცმელი და სხვადსხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;<br>✓ თეთრიწყაროს რაიონში ახალი ჰიბრიდული სასწავლო ცენტრის დაარსების შესახებ ადგილობრივი საზოგადოების ინფორმირების მიზნით, **სოფელ ასურეთისა და სოფელ ბოგვის საჯარო სკოლებში** ჩატარდა საინფორმაციო კამპანია. შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლების მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები, პედაგოგები და ადმინისიტრაციის წარმომადგენლები, სულ დაახლოებით 120 პირი.<br>✓ კოლეჯი შეუერთდა განათლების საერთაშორისო დღის აქტივობას, რომლის ფარგლებში, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარდა ლექცია-სემინარი თემაზე: **განათლების ხელმისაწვდომობა და განათლება გრძელვადიანი მშვიდობისთვის;**<br>✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ და ,,მეჩარხე“,** კონცენტრაციის მოდულებს ჩაუტარდათ ვერიფიკაცია და გაიცა რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა;<br>✓ კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმის ამოცანებიდან გამომდინარე მომზადდა და დამტკიცდა კოლეჯის 2024 წლის სამოქმედო გეგმა;<br>✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სს საქართველოს რკინიგზას გადაეგზავნათ 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ სრული ანგარიში;<br>✓ დამუშავდა კოლეჯში გენდერთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები;<br>✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსდამთავრებული მსმენელებისთვის სერტიფიკატების გაცემა; |

| | |
|---|---|
| | ✓ განხორციელდა 2021 და 2022 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და დოკუმენტაციის განახლება;<br>✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება. |
| **თებერვალი** | ✓ USAID-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში შეხვედრა განხორციელდა **ქ. სამტრედიის მერიის, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და იმერეთის რეგიონში არსებული საჯარო სკოლების დირექტორებთან.** დამსწრე საზოგადოებას მიეწოდათ ინფორმაცია: USAID-ის საგრანტო პროექტის მიზნებზე და ამოცანებზე, საკვალიფიკაციო და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროფესიული პროგრამების განხორციელების, აპლიკანტთა ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის სახელმწიფო დაფინანსებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალურ პერსპექტივებზე;<br>✓ 2022 წლის მიღების რვა დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი", ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა", ,,ლოკომოტივის მართვა", რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა", რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება, ,,სავაგონო მეურნეობა" და „სარკინიგზო გადაზიდვები" ჩარიცხულ **126 პროფესიულ სტუდენტს ჩაუტარდათ შუალედური გამოცდა,** რომლის შედეგად გადავიდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასულ პროფესიულ სტუდენტებს:<br>➢ სს საქართველოს რკინიგზასთან გაუფორმდათ შეგირდის ორმხრივი ხელშეკრულება;<br>➢ სს საქართველოს რკინიგზის მიერ მათზე გამოყოფილ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორები;<br>➢ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გადანაწილდნენ სს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოყოფილ პრაქტიკის ობიექტებზე;<br>➢ დაურიგდათ შესაბამისი სპეცტანსაცმელი და სხვადასხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;<br>✓ პროფესიული განათლების მასწავლებლის და სს საქართველოს რკინიგზის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით განხორციელდა 2023 წლის მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: **ლოკომოტივის მართვა და სარკინიგზო გადაზიდვები** ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების თბილისის სალოკომოტივო დეპოში და სადგურ ავჭალაში გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ვიზიტი; |

| | |
|---|---|
| | ✓ განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში განსახორციელებელი პროფესიული მოდულების დაწყება-დასრულების თარიღების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;<br>✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შედუღება“ 2022 წლის მიღების 18 პროფესიულ სტუდენტს,** რომლებმაც სრულად აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები დაასრულეს სწავლა და მიენიჭათ პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია;<br>✓ ნარკოტიკების, თამბაქოსა და ალკოჰოლის მიმართ დამოკიდებულების გაცნობიერების პრევენციის მიზნით, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სტუდენტების ჩართულობით ჩატარდა სპეციალური ღონისძიება;<br>✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, თეთრიწყაროს რაიონის მოსახლეობისთვის გამოცხადდა მიღება მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ტექნიკური ნახაზების მხაზველი“,** პროგრამაზე ჩაირიცხა - 10 მსმენელი, ხოლო ქ. სამტრედიის მოსახლეობისთვის გამოცხადდა მიღება პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“,** პროგრამაზე ჩაირიცხა - 15 მსმენელი. პროგრამებზე ჩარიცხულ ყველა აპლიკანტს გაუფორმდა ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი;<br>✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარები სააგენტოს დაფინანსებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“**. პროგრამაზე ჩაირიცხა 15-15 მსმენელი 2 ჯგუფად;<br>✓ დასრულდა სწავლება, ა(ა)იპ ,,პროფესიული უნარების სააგენტოს“ დაფინანსების საფუძველზე, ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო კორპუსში განხორციელებულ მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ელექტრო შემდუღებელი“** და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **,,არგონ-რკალური შემდუღებელი“.** ორივე პროგრამა წარმატებით დაასრულა ჩარიცხულმა ათ-ათმა მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;<br>✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე დარგის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია ზოგად მოდულებს: **რაოდენობრივი წიგნიერება და ,,უცხოური ენა - ინგლისური“**. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი |

| | |
|---|---|
| | რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა;<br>✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა;<br>✓ განხორციელდა 2021 და 2022 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;<br>✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება. |
| მარტი | ✓ USAID-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში, რეაბილიტირებული და სასწავლო პროცესისთვის სრულად აღჭურვილი ჰიბრიდული სასწავლო ცენტრები **მოინახულეს USAID-ის მისიის საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობის წევრებმა.** ვიზიტის ფარგლებში მათ დაათვალიერეს ჰიბრიდული სწავლების განსახორციელებლად მოწყობილი სასწავლო გარემო და შესყიდული აღჭურვილობა, გაეცნენ საკვალიფიკაციო და მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების შესახებ ინფორმაციას;<br>✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" მოპოვებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, სამტრედიის რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - **„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი"** პროგრამაზე რეგისტრირებული 10 აპლიკანტიდან, კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა ათივე აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი;<br>✓ ჩატარდა მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამის **„ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი"** მსმენელების კმაყოფილების კვლევა, განხორციელდა კვლევის შედეგების შეჯამება და რეკომენდაციების წარმოდგენა;<br>✓ დასრულდა სწავლება, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო კორპუსში განხორციელებულ მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი"**. პროგრამა წარმატებით დაასრულა |

პირველი ჯგუფის ჩარიცხულმა თხუთმეტივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;

- ✓ დასრულდა სწავლება, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო კორპუსში განხორციელებულ მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“**. პროგრამა წარმატებით დაასრულა ჩარიცხულმა თხუთმეტივე მსმენელმა, დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;
- ✓ განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა,** რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, 2021 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ობიექტების შერჩევა-მოძიება;
- ✓ განხორციელდა 2021 და 2022 წლების მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან კონსულტაციების ჩატარება;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებლებთან ერთად შეუერთდა დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებულ აქტივობას;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით ჩატარდა სპეციალური სემინარი. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში და მას ესწრებოდნენ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები;
- ✓ სს საქართველოს რკინიგზაზე შემდგომი დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობა“ ხელმძღვანელის დახასიათების საფუძველზე ერთ პროფესიულ სტუდენტზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;
- ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე დარგის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია ზოგად მოდულებს: **,,ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ და ,,ინფორმაციული წიგნიერება“**. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა;

| | |
|---|---|
| | ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;<br>✓ განხორციელდა 2024 წლის მეორე კვარტალში მისაღები პროგრამული დაფინანსების ოდენობის სისწორის განსაზღვრა და ინფორმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) დადასტურება;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსდამთავრებული მსმენელებისთვის სერტიფიკატების გაცემა;<br>✓ განხორციელდა 2021 და 2022 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;<br>✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება. |
| **აპრილი** | ✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, სამტრედიისა და თეთრიწყაროს ჰიბრიდულ ცენტრებში სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის უზრუნველსაყოფად, კოლეჯის ადმინისტრაციისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და სს საქართველოს რკინიგზის პრაქტიკის ინსტუქტორებისთვის ჩატარდა 3 დღიანი სპეციალური ტრენინგ კურსი;<br>✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მოპოვებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, სამტრედიისა და თეთრიწყაროს ჰიბრიდულ ცენტრებში მიმდინარეობს სწავლება, 3 მოკლევადიან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე - **„ტექნიკური ნახაზების მხაზველი“** - თეთრიწყაროს რაიონი, **„მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“** - ქ. სამტრედია, **„რკინიგზის ტრანსპორტზე სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“** - ქ. სამტრედია. სასწავლო პროცესის განხორციელების ეტაპზე, აქტიური მსმენელის სტატუსი გაცდენების გამო შეუჩერდა, ქ. სამტრედიაში, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“** ჩარიცხულ მხოლოდ ერთ მსმენელს, ხოლო ქ.თეთრიწყაროში მოკლევადიან მომზადების პროგრამაზე **„ტექნიკური ნახაზების მხაზველი“** სტატუსი შეუჩერდა ერთ მსმენელს.<br>✓ დასრულდა სწავლება, ა(ა)იპ ,,პროფესიული უნარების სააგენტოს“ დაფინანსების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო (ადმინისტრაციულ) კორპუსში განხორციელებულ მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“.** პროგრამა წარმატებით დაასრულა მეორე ჯგუფის ჩარიცხულმა 15 მსმენელმა, დაიბეჭდა |

სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;

- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, 2022 წლის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით სს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოყოფილ იქნა შესაბამისი პრაქტიკის ობიექტი სადაც განხორციელდა საწარმოო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისება;
- ✓ განხორციელდა 2021 და 2022 წლების მიღებაზე, ინტეგრირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერისათვის გადაცემა;
- ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკული კომპონენტის დადასტურების თარიღების შესახებ განხორციელდა მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირება და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება;
- ✓ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა;
- ✓ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ჯგუფში ონლაინ ფორმატში განთავსებულ იქნა პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის კითხვარი და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი ანალიზის გაკეთება და რეკომენდაციების გაცემა;
- ✓ კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვის, შეფასების, პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობის, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის, უფლებების დაცვის, სასწავლო აუდიტორების, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობისა თუ ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით დროული უკუკავშირის მიღების მიზნით შემუშავებულ იქნა სპეციალური **„QR SCANER“** კოდი, რომლის დასკანერების შემთხვევაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, რომ სრულიად ანონიმურად მოგვაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რაზედაც მყისიერად განხორციელდება შესაბამისი რეაგირება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეჩარხე“ 11 პროფესიულ სტუდენტს, რომლებმაც სრულად აითვისეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტები, მიენიჭათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია;
- ✓ კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და პროფესიული განათლების მიღების მსურველი აპლიკანტების რეკრუტირების მიზნით, კოლეჯის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ მე-16 საჯარო სკოლაში და

| | | |
|---|---|---|
| | | სკოლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის წარდგენილ იქნა პრეზენტაცია კოლეჯის საქმიანობისა და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რასთან დაკავშირებითაც კოლეჯის წარმომადგენლების მიერ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია;<br>✓ დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) საერთაშორისო ვერიფიკატორის მიერ ონლაინ ფორმატში განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი. ონლაინ ვერიფიკაციის დროს საერთაშორისო ვერიფიაკტორი გაეცნო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევებს, დეტალურად შეისწავლა სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში შექმნილი მტკიცებულებები და პროფესიულ სტუდენტთა შეფასებები, ყველა დასმულ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენლების, პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების მიერ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია და გადაეგზავნა მოთხოვნილი მტკიცებულებები;<br>✓ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატისა და შტუტგარტის ექსპორტ აკადემიას შორის არსებული პროექტის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" ორ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება" ერთ, ჯამში სულ სამ ინსტრუქტორს ჩაუტარდათ ოთხდღიანი სპეციალური ტრენინგი სათაურით - **,,სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება პრაქტიკული სწავლების საწარმოში",** დამსწრე ინსტრუქტორებს ტრენინგის შემდგომ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები;<br>✓ განხორციელდა ელექტრული ტექნიკის სახელოსნოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა და კოლეჯში არსებული პრაქტიკული სწავლების ლაბორატორიაში განთავსება;<br>✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობა" ორ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;<br>✓ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი შეუერთდა დედამიწის დღესთან დაკავშირებულ მსოფლიო გზავნილს „Planet vs. Plastics", რომლის ფარგლებშიც კოლეჯის პროფესიული სტუდენტები ესტუმრნენ შავნაბადას მიმდებარე ტერიტორიას და მიიღეს მონაწილეობა გარემოს დასუფთავების ღონისძიებაში. ჩატარებულ აქტივობასთან დაკავშირებით დამატებით კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა და ადმინისტრაციის წევრებმა პლასტმასების გადამამუშავებელ ფირმა „ტენე"-ს ჩააბარეს მოგროვებული პლასტმასის ქილები;<br>✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის |

| | |
|---|---|
| | საფუძველზე დარგის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,სარკინიგზო გადაზიდვები“ და ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“,** კონცენტრაციის მოდულებს, ჩაუტარდა ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს, რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა;<br>✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და დოკუმენტაციის განახლება;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის საკვალიფიკაციო და პროფესიული მომზადება/გადამზადების დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა;<br>✓ განხორციელდა 2021 და 2022 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;<br>✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება. |
| **მაისი** | ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, გაეროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა: ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტების, ტრეფიკინგთან ბრძოლის მეთოდების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, პრევენციის უზრუნველყოფის და მიგრაციის მსხვერპლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრა წარიმართა ინტერაქტიულ რეჟიმში, რომელშიც მონაწილეობდნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები;<br>✓ განხორციელდა სს საქართველოს რკინიგზის ადამიანური რესურსები ხელმძღვანელის შეხვედრა ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია სს საქართველოს რკინიგზაზე არსებული ვაკანსიებისა და მათი დასაქმების პერსპექტივების შესახებ;<br>✓ დასრულდა სწავლება, **USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“** წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში განხორციელებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ტექნიკური ნახაზების** |

**მხაზველი“**, სწავლა წარმატებით დაასრულა ჩარიცხული **10 მსმენელიდან 9 მსმენელმა.** დაიბეჭდა სერტიფიკატები და გადაეცათ კურსდამთავრებულებს;

- ✓ დასრულდა სწავლება, **USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“** წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, ქ. სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში განხორციელებული მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„მოძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე“,** სწავლა წარმატებით დაასრულა ჩარიცხული **15 მსმენელიდან 14 მსმენელმა.** დაიბეჭდა სერტიფიკატები და გადაეცათ კურსდამთავრებულებს;
- ✓ დასრულდა სწავლება, **USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“** წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, ქ. სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში განხორციელებული მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირების მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი“,** სწავლა წარმატებით დაასრულა ჩარიცხული **10 მსმენელიდან 10 მსმენელმა.** დაიბეჭდა სერტიფიკატები და გადაეცათ კურსდამთავრებულებს;
- ✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მოპოვებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, სამტრედიისა და თეთრიწყაროს ჰიბრიდულ ცენტრებში დაიწყო სწავლება, 3 მოკლევადიან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე - **„ვაგონების მსინჯველი“** - ქ. სამტრედია, **„სადგურის მორიგე“** - ქ. სამტრედია, **„ლიანდაგის მონტიორი“** - თეთრიწყაროს რაიონი;
- ✓ კოლეჯის ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, საქართველოს სხვა 21 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 41 პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად, შერჩეულ იქნა მასწავლებლის: სოფლის მეურნეობის, სტუმარ-მასპინძლობის, მშენებლობისა და ინჟინერიის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით გადამზადების სპეციალურ პროგრამაში და **მივლინებულ იქნა ლატვიის დედაქალაქში რიგა.**
- ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე დარგის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“ და ,,რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობა“,** კონცენტრაციის მოდულებს, ჩაუტარდა ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა;
- ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი განხორციელებისა და სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით,

| | |
|---|---|
| | **ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში** უზრუნველყოფილ იქნა მინიმალური სავალდებულო აღჭურვილობის ცხრილით გათვალისწინებული მასალა და ნედლეულის დამატებითი შესყიდვა;<br>✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლოკომოტივის მართვა" ორ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსდამთავრებული მსმენელებისთვის სერტიფიკატების გაცემა;<br>✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;<br>✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება. |
| **ივნისი** | ✓ კოლეჯი შეუერთდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქტივობას, რომლის ფარგლებშიც კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების ჩართულობით ჩატარებულ იქნა სპეციალური გასართობ-შემეცნებითი ღონისძიება;<br>✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში შექმნილი **დიგიტალიზაციის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში** გაიმართა პირველი გაცნობითი ხასიათის საორგანიზაციო შეხვედრა;<br>✓ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატისა და შტუტგარტის ექსპორტ აკადემიას შორის არსებული პროექტის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა", ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი", ,,სავაგონო მეურნეობა", ლოკომოტივის მართვა და სარკინიგზო გადაზიდვები" ხუთ ინსტრუქტორს, ასევე სს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოყოფილ საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებლ პირს, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საწარმოო პროცესის კოორდინატორსა და კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს, **ჯამში სულ რვა პირს,** ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი სათაურით - **,,სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება პრაქტიკული სწავლების საწარმოში, ინსტრუქტორის ფუნქცია მოვალეობები და პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი",** მონაწილე პირებს ტრენინგის წარმატებით დასრულების შემდგომ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები;<br>✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" წარდგენილი საგრანტო პროექტის **,,რკინიგზის ინდუსტრიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება რეგიონებში პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით"** ფარგლებში, საგრანტო პროექტის შესასრულებელი მოთხოვნათა |

| | | |
|---|---|---|
| | | შესაბამისად, წარდგენილ იქნა 2024 წლის განვლილი ექვსი თვის განმავლობაში, განხორციელებული აქტივობების შესახებ შესაბამისი ანგარიში;<br>✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, კოლეჯის წარმომადგენლები საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იმყოფებოდნენ ქ. თბილისის N173-ე საჯარო სკოლაში და შეხვდნენ სკოლის მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს. შეხვედრის ფარგლებში წარდგენილ იქნა შესაბამისი პრეზენტაცია კოლეჯის საქმიანობის, განვლილი ისტორიისა და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;<br>✓ კოლეჯის დუალური **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლოკომოტივის მართვა“ ერთი პროფესიული სტუდენტი, რომელმაც მოიპოვა „ევროპის შეგირდთა ქსელის“ (EAN) აკადემიის წევრის სტატუსი, მიწვეულ იქნა ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გასამართ ღონისძიებაზე მონაწილეობის მისაღებად.** აღნიშნულ ღონისძიებაზე საქართველოს სახელით სულ მონაწილეობა მიიღო ორმა პროფესიულმა სტუდენტმა, რომელთაგან ერთი იყო ჩვენი კოლეჯის მიერ წარდგენილი პროფესიული სტუდენტი;<br>✓ 2021 წლის მიღების სამი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: სარკინიგზო გადაზიდვები - 4, რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა - 2 და სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - 8, ჯამში **სულ - 14 პროფესიულ სტუდენტს,** საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის წარმატებით ჩაბარების შედეგად მიენიჭათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;<br>✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი“.** განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (https://tvet.emis.ge/) გამოცხადებული რეგისტრაციისა და შერჩევის პროცესის დასრულების შედეგად აღნიშნულ მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 30 მსმენელი;<br>✓ პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„გეოდეზიური სამუშაოების შესრულება“** აპლიკანტების ჩარიცხვის მიზნით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (https://tvet.emis.ge/) გამოცხადდა რეგისტრაცია;<br>✓ USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მოპოვებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, სამტრედიისა და თეთრიწყაროს ჰიბრიდულ ცენტრებში დაიწყო სწავლება, 2 მოკლევადიან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე - **„ლიანდაგის დეფექტოსკოპისტი“** - ქ. სამტრედია და **„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ტექნიკოსი“** - თეთრიწყაროს რაიონი;<br>✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განსახორციელებლად დაფინანსების მოპოვების მიზნით, ა(ა)იპ პროფესიული |

| | |
|---|---|
| | უნარების სააგენტოში გაიგზავნა 7 მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა:<br>➢ ტექნიკური ნახაზების მხაზველი;<br>➢ ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;<br>➢ სამუშაოების შესრულება;<br>➢ ვაგონების მსინჯველი;<br>➢ რკინიგზის სცბ მიკროპროცესორული ტექნიკის სპეციალისტი;<br>➢ ელექტრო შემდუღებელი;<br>➢ არგონ-რკალური შემდუღებელი;<br>✓ შემუშავდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, უფლების დადასტურების გზით განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით გაგზავნილ იქნა, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამა **„მატარებლის შემდგენელი“.** აღნიშნული პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 კვირას, ჯამში სულ 120 საათი;<br>✓ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯმა, უფლების დადასტურების გზით, მოიპოვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის **„მატარებლის შემდგენელი“** განხორციელების უფლება;<br>✓ მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვისა და შემდგომი განხორციელებისთვის თანამშრომლობის მიზნით, გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება „აზერბაიჯანის რკინიგზის საქართველოს ფილიალის“, **ყარსი-ახალქალაქის რკინიგზასთან;**<br>✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე დარგის შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების **,,ლოკომოტივის მართვა“ და ,,სარკინიგზო გადაზიდვები“,** კონცენტრაციის მოდულებს, ჩაუტარდა ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა;<br>✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;<br>✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ ორ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;<br>✓ განხორციელდა 2024 წლის მესამე კვარტალში მისაღები პროგრამული დაფინანსების ოდენობის სისწორის განსაზღვრა და ინფორმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) დადასტურება; |

| | |
|---|---|
| | ✓ განხორციელდა კოლეჯის პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსდამთავრებული მსმენელებისთვის სერტიფიკატების გაცემა;<br>✓ განხორციელდა 2022 და 2023 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მტკიცებულებების შეგროვება-დახარისხება და პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი;<br>✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (https://tvet.emis.ge/) არსებული მონაცემები;<br>✓ განხორციელდა კოლეჯის ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერიოდული განახლება. |
| **ივლისი** | ✓ ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: **,,საწყობის ოპერირება“ და ,,ტვირთების ექსპედირება“**, ავტორიზაციის გზით განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, კოლეჯში განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოყოფილი ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი;<br>✓ USAID-ის საგრანტო პროექტის ფარგლებში, თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„სადგურის დისპეტჩერი“.** პროგრამაზე რეგისტრირებული 18 აპლიკანტიდან, კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 10 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ შესაბამისი ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი;<br>✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ქ. თბილისში არსებულ ძირითად სასწავლო კორპუსში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„გეოდეზიური სამუშაოების შესრულება“.** პროგრამაზე რეგისტრირებული 14 აპლიკანტიდან, კომისიის გადაწყვეტილებით დადებითად შეფასდა 10 პირი, რომლებსაც გაუფორმდათ შესაბამისი ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი;<br>✓ „დახურული სს აზერბაიჯანის რკინიგზა საქართველოს ფილიალის“ დაკვეთით გამოცხადებული დახურული კონკურსის საფუძველზე, თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში დაიწყო სწავლება, მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამებზე **„მატარებლის შემდგენელი“ და „ვაგონების მსინჯველი“.** პროგრამებზე ჩარიცხულ იქნა დამკვეთი კომპანიის მიერ შერჩეული 15 და 10 აპლიკანტი, რომლებსაც გაუფორმდათ შესაბამისი ხელშეკრულება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში (https://tvet.emis.ge/) მიენიჭათ მსმენელის სტატუსი;<br>✓ დასრულდა სწავლება, **USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“** წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, ქ. სამტრედიის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში განხორციელებული |

მოკლევადიანი პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„სადგურის მორიგე“,** სწავლა წარმატებით დაასრულა ჩარიცხული **10 მსმენელიდან 10 მსმენელმა.** დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის წარსადგენად მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;

- ✓ დასრულდა სწავლება, **USAID-ის პროგრამის ,,დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“** წარდგენილი საგრანტო პროექტის ფარგლებში, თეთრიწყაროს რაიონის ჰიბრიდული სწავლების ცენტრში განხორციელებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამაზე **„ლიანდაგის მონტიორი“,** სწავლა წარმატებით დაასრულა ჩარიცხული **10 მსმენელიდან 10 მსმენელმა.** დაიბეჭდა სერტიფიკატები და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთვის წარსადგენად მომზადდა შესაბამისი პროგრამული ანგარიში;
- ✓ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით ჩატარებულ რეგიონული კოორდინატორების კონკურსში, **თბილისის მასშტაბით მეწარმეობის დარგობრივი ქსელის კოორდინატორად შერჩეულ იქნა,** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ტვირთების ექსპედირება“ ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ✓ ვერიფიკაციის გეგმისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა კოოპერაციული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“-ს,** პროფესიულ მოდულებს: ,,ფსიქოლოგიის საფუძვლები“, ,, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება“ და ,, წყლის და ჰაერის დაბინძურება“, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მოდულების განმახორციელებელ პირებს რეაგირებისთვის მიეცათ შესაბამისი გონივრული ვადა;
- ✓ მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა საუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავაგონო მეურნეობა“ ორ პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;
